

დამტკიცებულია სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო
სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს
2020 წლის 18 იანვრის № 3 დადგენილებით

ცვლილებები შესულია
2022 წლის 22 თებერვლის № 20 დადგენილებით

**„პროფესიული მომზადების პროგრამასა და პროფესიული გადამზადების პროგრამაზე ჩარიცხვის
მსურველ აპლიკანტთა შერჩევის წესი“**

მუხლი 1. რეგულირების სფერო

1. წინამდებარე წესი შემუშავებულია საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის „პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ № 131 დადგენილებისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის „პროფესიული მომზადების პროგრამასა და პროფესიული გადამზადების პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ № 71/ნ-ბრძანების საფუძველზე (შემდგომში პროფესიული მომზადების / გადამზადების პროგრამა) და არეგულირებს სასწავლო უნივერსიტეტში პროფესიული მომზადების / გადამზადების პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველ აპლიკანტთა შერჩევის (შემდგომში „შერჩევა“) პროცედურას.
2. სასწავლო უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამაზე დარეგისტრირებული აპლიკანტის (შემდეგში „აპლიკანტი“) შერჩევის შედეგების საფუძველზე განხორციელდება იმ აპლიკანტთა გამოვლენა, რომლებიც მოიპოვებენ პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამაზე სწავლების უფლებას და მიიღებენ მსმენლის სტატუსს.

მუხლი 2. შერჩევის პროცედურები

1. სასწავლო უნივერსიტეტი და პარტნიორი ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში) რომელიც ჩართულია პროფესიული მომზადება/ გადამზადების პროგრამის განხორციელებაში, ავრცელებენ ინფორმაციას ზემოაღნიშნული პროგრამაზე მიღების გამოცხადების თაობაზე.
2. აპლიკანტი რეგისტრირდება ელექტრონულ ბაზაში კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.
3. სასწავლო უნივერსიტეტი და პარტნიორი ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში) ერთობლივად ატარებენ შერჩევის პროცედურას, რომელიც მოიცავს ტესტირებას ან /და გასაუბრებას;

4. შერჩევის პროცესში მონაწილეობის მიზნით, აპლიკანტი ვალდებულია სასწავლო უნივერსიტეტში წარმოადგინოს შიდა რეგულაციით განსაზღვრული დოკუმენტაცია:
5. გასაუბრება ან/და ტესტირება ყველა აპლიკანტთან მიმდინარეობს ერთნაირი სქემით, რათა უზრუნველყოფილი იყოს თანაბარი შესაძლებლობების შეთავაზება.
6. სასწავლო უნივერსიტეტი ვალდებულია, შერჩევის პროცედურის დაწყებამდე არანაკლებ 3 სამუშაო დღით ადრე, აპლიკანტს მიაწოდოს ინფორმაცია შერჩევის პროცედურის შესახებ.
7. შერჩევის პროცესის დასრულებიდან სასწავლო უნივერსიტეტი, ელექტრონული სისტემის მეშვეობით უზრუნველყოფს აპლიკანტისთვის პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამაზე ჩარიცხვის უფლების მქონე პირის -მსმენელის სტატუსის მინიჭებას.

მუხლი 3. კონკურსში მონაწილეობის უფლება.

1. სასწავლო უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ ტესტირებაში ან/და გასაუბრებაში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს აპლიკანტს, რომელიც ღია წესით გამოცხადების შემთხვევაში რეგისტრირებულია პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამაზე კანონმდებლობით დადგენილი წესით.
2. რეგისტრაციის დახურული წესით გამოცხადების შემთხვევაში, აპლიკანტთა შერჩევის პროცესში მონაწილეობას ებუღება აპლიკანტი, რომელიც რეგისტრირებულია სასწავლო უნივერსიტეტის მიერ შესაბამისი ელექტრონული სისტემის გამოყენებით.

მუხლი 4. შერჩევის ფორმა და პირობები

1. შერჩევის ფორმა არის ტესტირება ან/და გასაუბრება, რომელიც პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით გამოყენებული იქნება შერჩევის კომისიის გადაწყვეტილებით;
2. ტესტირებისას გამოიყენება მხოლოდ წინასწარ დამტკიცებული შეფასების ინსტრუმენტი, რომელიც შემუშავდება შესაბამისი კომპეტენციის მქონე დარგის სპეციალისტ(ებ)ის/პროგრამის განმახორციელებელი პირ(ებ)ის მიერ.
3. ტესტირების ფორმით დამტკიცებულ შეფასების ინსტრუმენტს თან ახლავს ტესტის გასაღები;
4. შერჩევის პროცესი (გასაუბრება) ტარდება სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის მიერ ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით შექმნილი კომისიის მიერ, განსაზღვრულ აუდიტორიაში/აუდიტორიებში ან სხვა ალტერნატიულ ფართში დაინტერესებულ მხარეებთან შეთანხმებით.
5. ტესტირება ტარდება სასწავლო უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად განსაზღვრულ აუდიტორიაში/აუდიტორიებში ან სხვა ალტერნატიულ ფართში დაინტერესებულ მხარეებთან შეთანხმებით.
6. შეფასების შედეგების საფუძველზე დგება აპლიკანტთა შეფასების რანჟირების დოკუმენტი.

მუხლი 5. აპლიკანტთა შერჩევის კომისია

1. შერჩევას ახორციელებს სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის მიერ ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტით დამტკიცებული კომისია;
2. შერჩევის კომისია შედგება არანაკლებ 3 და არაუმეტეს 5 წევრისგან.
3. შერჩევის კომისიაში შედის:
 - ა) პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განმახორციელებელი პირ(ებ)ი;
 - ბ) სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენელ(ებ)ი;
 - გ) პარტნიორი კომპანიის წარმომადგენელ(ებ)ი (არსებობის შემთხვევაში).
4. ტესტირებისას აპლიკანტების მიერ შევსებული ტესტი კომისიის წევრის/დარგის სპეციალისტის მიერ მოწმდება მოცემული ტესტის გასაღების შესაბამისად;
5. გასაუბრების დროს აპლიკანტს ინდივიდუალურად აფასებს კომისიის თითოეული წევრი, წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისად (დანართი №1; №2)
6. ტესტირების ან/და გასაუბრების შეფასების შედეგების საფუძველზე კომისიის წევრების მიერ დგება რანჟირების დოკუმენტი და ხელისმოწერით ადასტურებს კომისიის ყველა წევრი ;
7. აპლიკანტი უფლებამოსილია აპელაციის მიზნით 2 სამუშაო დღის ვადაში განცხადებით მიმართოს სასწავლო უნივერსიტეტის რექტორს და მოითხოვოს მტკიცებულებების გაცნობა/გასაჩივრება;
8. შერჩევის შედეგებთან დაკავშირებული საჩივრების განხილვის მიზნით სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით იქმნება დროებითი სააპელაციო კომისია ყოველი შემთხვევის დროს განახლებული შემადგენლობით;
9. სააპელაციო კომისია ვალდებულია ყოველმხრივ შეისწავლოს და ობიექტურად განიხილოს საჩივარი და მიიღოს გადაწყვეტილება განცხადების შემოტანიდან მაქსიმუმ 3 სამუშაო დღის ვადაში შეფასების ქულის მომატების, დაკლების ან უცვლელად დატოვების შესახებ, რომლის შედეგები აისახება შესაბამის სხდომის ოქმში;
10. რანჟირების დოკუმენტი მტკიცდება სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის ინდივიდუალური-სამართლებრივი აქტით პროფესიული განათლების განვითარების სამსახურის უფროსის წარდგინების საფუძველზე;
11. აპლიკანტს სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის ინდივიდუალური-სამართლებრივი აქტით მიენიჭება მსმენელის სტატუსი დამტკიცებული რანჟირების დოკუმენტის (დანართი №3) საფუძველზე და აისახება ელექტრონულ სისტემაში კანონმდებლობით განსაზღვრული წესით;

მუხლი 6. შერჩევაში მონაწილე აპლიკანტის უფლება-მოვალეობები.

1. აპლიკანტი უფლებამოსილია იცნობდეს კომისიის მიერ მისი შეფასების წესს/შეფასების კრიტერიუმებს.
2. შერჩევაში მონაწილე აპლიკანტი ვალდებულია დროულად გამოცხადდეს შერჩევის პროცესზე, თან იქონიოს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი (პირადობის მოწმობა /პასპორტი)
3. ამ მუხლის მეორე პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტის გარეშე გამოცხადებული აპლიკანტი სასწავლო უნივერსიტეტის მიერ შერჩევის პროცესზე არ დაიშვება.
4. შერჩევის დღეს გამოუცხადებლობა აპლიკანტს ართმევს უფლებას მოითხოვს შერჩევის სხვა დღეს ჩატარება, გამოუცხადებლობის მიზეზის მიუხედავად.
5. აპლიკანტი უფლებამოსილია გაასაჩივროს შერჩევის შედეგები წინამდებარე წესის მე-5 მუხლის შესაბამისად.

მუხლი 7. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) ან/და შეზღუდული შესაძლებლობების მოქნე (შშმ) პირთა პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამაზე შერჩევა.

1. პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამაზე შერჩევაში სსსმ/შშმ აპლიკანტის სტატუსით პირს მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ექსპერტთა გუნდის დასკვნის საფუძველზე.
2. სსსმ/შშმ აპლიკანტის პროფესიული მომზადება/ გადამზადების პროგრამაზე შერჩევაში მონაწილეობა მოიცავს მის მიერ შერჩეული პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის შესატყვისი აქტივობების პრაქტიკულ მოსინჯვას.
3. სსსმ/შშმ აპლიკანტის პროფესიული მომზადება/ გადამზადების პროგრამაზე შერჩევის მიზნით სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ქმნის კომისიას, რომელშიც აუცილებლად შედის:
 - ინკლუზიური განათლების სპეციალისტ(ებ)ი;
 - სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენელ(ებ) ი;
 - პროფესიული მომზადება/ გადამზადების პროგრამის პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენელ(ებ)ი (არსებობის შემთხვევაში)
4. კომისია პროფესიული მომზადება/ გადამზადების პროგრამის შესატყვისი აქტივობების პრაქტიკული მოსინჯვის შედეგებს ასახავს შესაბამის ფორმაში/ოქმში.
5. კომისია პროფესიული მომზადება/ გადამზადების პროგრამის შესატყვისი აქტივობების პრაქტიკულ მოსინჯვის შედეგების საფუძველზე სსსმ/შშმ აპლიკანტს უწევს ან არ უწევს რეკომენდაციას პროგრამაზე ჩარიცხვის შესახებ.

მუხლი 8. ცვლილებები და დამატებები

წინამდებარე წესში შეიძლება შევიდეს ცვლილებები და დამატებები სასწავლო უნივერსიტეტის უფლებამოსილი ორგანოს გადაწყვეტილებებით.

დანართი №1.1.-აპლიკანტთა შეფასების (გასაუბრების) კრიტერიუმები პროფესიული მომზადება / გადამზადების პროგრამაზე

დანართი №1.2-აპლიკანტის შეფასების (გასაუბრების) უწყისი

დანართი №1.3-პროფესიული მომზადება/ გადამზადების პროგრამაზე აპლიკანტთა შერჩევის შედეგების საფუძველზე შექმნილი რანჟირების დოკუმენტი

აპლიკანტთა შეფასების (გასაუბრების) კრიტერიუმები პროფესიული მომზადება /
გადამზადების პროგრამაზე

აპლიკანტის სახელი, გვარი: _____

N	შეფასების კრიტერიუმები	ქულა			
		3 ქულა მალიან კარგი	2 ქულა კარგი	1 ქულა დამაკმაყოფილებელი	0 ქულა არადაკმაყოფილებელი
1	პროფესიისთვის რელევანტური ცოდნა/ სამუშაო ან/ და პრაქტიკული გამოცდილება				
2	პროგრამაზე სწავლისადმი მზაობა				
3	პროფესიისადმი ინტერესი/პროფესიის დაუფლების მოტივაცია				
4	სასწავლო უნივერსიტეტთან /პარტნიორ ორგანიზაციასთან /საწარმოსთან თავსებადობა				
5	აქტიური მოსმენა				
6	კომუნიკაცია				

კომისიის წევრის სახელი და გვარი -----

აპლიკანტის შეფასების (გასაუბრების) უწყისი

აპლიკანტის სახელი, გვარი: _____

N	კომისიის წევრის სახელი და გვარი	პროფესიისთვის რელევანტური ცოდნა/ სამუშაო ან/ და პრაქტიკული გამოცდილება	პროგრამაზე სწავლისადმი მზაობა	პროფესიისადმი ინტერესი/პროფესიის დაუფლების მოტივაცია	სასწავლო უნივერსიტეტთან /პარტნიორ ორგანიზაციასთან /საწარმოსთან თავსებადობა	აქტიური მოსმენა	კომუნიკაცია	ქულათა ჯამი
1	კომისიის წევრი 1							
2	კომისიის წევრი 2							
3	კომისიის წევრი 3							
4	კომისიის წევრი 4							
5	კომისიის წევრი 5							
	ჯამური ქულა:							

კომისიის წევრები:

დანართი №1.3

პროფესიული მომზადებისა/ გადამზადების პროგრამაზე აპლიკანტთა შერჩევის შედეგების
საფუძველზე შექმნილი რანჟირების დოკუმენტი

სახელი	გვარი	პ/ნ	მინიმალური კომპეტენციის ზღვარი	შერჩევის შედეგად მიღებული ქულა	სსსმ აპლიკანტი

კომისიის წევრები:

